სადოქტორო პროგრამის დასახელება: გერმანული ფილოლოგია

პროგრამის კოორდინატორი - სრული პროფესორი, დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე

პროგრამის დახასიათება: ინდივიდუალური (გარდამავალი დებულების ფარგლებში) სადოქტორო პროგრამა. ამ ეტაპზე ითვალისწინებს იმ მაძიებლების მიღებას, რომლებსაც მიმდინარე რეფორმების შედეგად შეუჩერდათ ასპირანტის ან მაძიებლის სტატუსი, რათა გახდეს შესაძლებელი მათ მიერ დაწყებული საკვალიფიკაციო ნაშრომების დასრულება და წარმოებაში მიღება (დაცვის პროცედურის დაწყება).

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

გერმანული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა ემსახურება გერმანისტების პროფესიული განათლებისა და სადოქტორო ნაშრომის შექმნისთვის აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციების გაღრმავებას გერმანისტიკის როგორც მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისად.

მიზანი:

- გერმანული ფილოლოგიის შემადგენელი ორი განხრის - გერმანული ენათმეცნიერება და გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა - შესაბამისი ნაწილობრივი დარგობრივი კომპეტენციების გაფართოება-გაღრმავება სამეცნიერო კვლევის სადოქტორო დონეზე გაგრძელების /ან დაწყებისთვის (შედეგი- საკვალიფიკაციო ნაშრომი), აგრეთვე შეძენილი კომპეტენციების სამეცნიერო/ სასწავლო დაწესებულებებსა ან პრაქტიკულ, კონკურენტულ გარემოში გამოყენებისთვის.

აქტუალობა

ევროპაში მიმდინარე თანამედროვე გერმანისტული ლინგვისტიკისა და ლიტერატურატმცოდნეობის კვლევის სფეროებში არსებული ზოგადი ცვლილებებისა და ევალუაციის პროცესის შესაბამისად

- www.**phil-fak.uni-duesseldorf.de**/Promotion.1698.0.html - 14k - Im Cache
- **Evaluationsordnung für die wissenschaftlichen Einheiten der Westfälischen Wihelms-Universität Münster**: **http://www.uni-muenster.de/Rektorat/abuni/2005/abo5o4o2.html 18.11.2006)** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების გათვალისწინება გერმანისტიკის კვლევის თანამედროვე მეცნიერულ მეთოდებზე დაყრდნობით.

შედეგი - სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება და უნივერსიტეტში წარმატებული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყება, რაც ხელს შეუწყობს ქართველი გერმანისტების თაობათა ღირსეული ცვლის მომზადებას და ამით საქართველოში გერმანისტიკის განვითარების პერსპექტივას. გერმანული ენისა და ლიტერატურის, გერმანული კულტურის თავისებურებების გათვალისწინებით გერმანული ფილოლოგიის განხრების (გერმანული ენათმეცნიერება, გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა) შემსწავლელი დოქტორანტები მიიღებენ სათანადო ცოდნას სპეციალობაში იმ ინტერდისციპლინარული სფეროებისა და მეთოდების შესწავლით, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათი სამეცნიერო მუშაობის უნარის - ადეკვატური რეფლექსიისა და კრიტიკული ხედვის უნარის გამომუშავებას უკვე არსებული კვლევების (სამეცნიერო ლიტერატურა) შედეგებთან მიმართებაში და ამით შეიძენენ საგნის სპეციფიკის შესაბამის საგნობრივ, ენობრივ, სოციალურსა და კულტურულ კომპეტენციებს, რაც დაეხმარებათ

მათ მაღალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკვალიფიკაციო ნაშრომების შექმნას, დასრულებასა და დაცვაში.

დოქტორანტის დასაქმების სფეროები:

- ყველა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სამეცნიერო პროექტში;
- ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა შესაბამის დეპარტამენტებში;
- საქართველოს და საზღვარგარეთის სამეცნიერო ბიბლიოთკებში;
- საგამომცემლო და პერიოდული პრესის რედაქციებში მთარგმნელად და სტილისტად
- მასმედიის ყველა მიმართულებით, ექსპერტად და კონსულტანტად;

სამთავრობო და კერძო სტრუქტურების მეცნიერ-ექსპერტად;

ჩარიცხვის წინაპირობები

სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია გერმანული ფილოლოგიის სპეციალობის ყოფილი მაძიებლებისა და ასპირანტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები. კერძოდ, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- გერმანული ენის C-1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

- განახლებული ბიბლიოთეკა გერმანისტული ლიტერატურით, კომპიუტერები, ინტერნეტი და ა. შ.
- ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე ამჟამად სასურველია არაუმეტეს 3 დოქტორანტის მიღება.

ინდივიდუალური საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელები:

პროფ. დოქტ. ვ. ფურცელაძე
პროფ. დოქტ. დ. ფანჯიკიძე
პროფ.დოქტ. ლ. ქეცბა-ხუნდაძე